N 359 14/09/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 11 სექტემბერს გაიმართა ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ფრაქციის სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 11- 4(ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №11

ქ.ლანჩხუთი 11.09.2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ბესიკ ტაბიძე,გიორგი გვარჯალაძე,ვლადიმერ ნანაძე,ზაალ სანაძე,გიორგი ჩახვაძე,კახა თედორაძე,კახა ბოლქვაძე,ცისანა ურუშაძე.

მოწვეული პირები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი,მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ხვიჩა ნიკოლაიშვილი, ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ნატა კობალავა, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი დავით წერეთელი,შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ადელინა კილაძის განცხადების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციას წერილით მომართა მოქალაქე ადელინა კილაძემ, რომელიც აღნიშნავს, რომ მისი მეუღლე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სამსახურიდან გაათავისუფლა ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა დავით წერეთლმა.

მოქალაქე ადელინა კილაძემ აღნიშნა, რომ მისი მეუღლის თამაზ ცინცაძის (პარტიის წევრი 2012 წლიდან) მიმართ ადგილი აქვს უკანონო ქმედებას.მისი თქმით, იგი მუშაობდა ლანჩხუთის

ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმები და ბიბლიოთეკები დღემდე გაერთიანების შემადგენლობაშია,გააუქმა შტატი,რასაც იგი უკანონოდ მიაჩნევს.

საკითხში გასარკვევად და მეუღლის დასაქმების თხოვნით მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს,პარტიის აღმასრულებელ მდივანს,საკრებულოს თავმჯდომარეს,თუმცა ხუთი თვის მანძილზე რეაგირება არ მომხდარა, მაშინ როცა ამ პერიოდში თვით კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებში და ასევე სხვა ა(ა)იპ-ებში დასაქმდა მოქალაქეთა სოლიდური რაოდენობა.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა დავით წერეთელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიენების ყოფილ თანამშრომელს ბატონ თამაზ ცინცაძეს 2018 წლის 30 იანვარს N60 ბრძანების შესაბამისად ჩაბარდა დაკავებული პოზციიდან მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე გაფრთხილება,რასაც ხელს აწერს იმჟამად ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპლიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ქალბატონი ადელინა კილაძე.ამის შემდგომ 2018 წლის 30 მარტს სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წამყვანი სპეციალისტი თამაზ ცინცაძე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა,კანონის შესაბამისად მას მიეცა კომპენსაცია ერთი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობა. მისი თქმით, თამაზ ცინცაძის გათავისუფლება კანონის ფარგლებში მოხდა და შესაბამისად სხვა კომენტარს ვერ გააკეთებს.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის ხელთ არსებული დოკუმენტაციის მიხედვით თამაზ ცინცაძე გათავისუფლდა კანონის ყველა პროცედურის დაცვით, ხოლო რაც შეეხება მეორე მხარეს თამაზ ცინცაძის სხვა სამსახურში დასაქმებაზე ამ საკითხის გადაწყვეტა ფრაქციის კომპეტენციას სცდება.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წერილი ამ ფორმატში განსახილველი არ არის და ფრაქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსჯელებს გათავისუფლების კანონიერებაზე და უკანონობაზე,თუ აუდიტის სამსახური დადებს შესაბამის დასკვნას ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შესაძლო დარღვევებზე.

ფრაქციის წევრებმა ცნობად მიიღეს აღნიშნული წერილი

სხვადასხვა

დეპუტატმა ზაალ სანაძემ ისაუბრა ა(ა)იპ სპორტულ ცენტრში არსებულ რთულ სიტუაციაზე,მისი თქმით თითქმის ექვსი თვეა მდგომარეობა არის საკმაოდ დაძაბული ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის. ამიტომ საკითხი საჭიროებს დროულ შესწავლას და შესაბამის რეაგირებას,მანამ სანამ უფრო მძიმე შედეგით არ დასრულებულა შექმნილი სიტუაცია.მან აღნიშნა, რომ საკითხი უნდა შეისწავლოს შესაბამისმა კომისიამ და დასკვნის შემდეგ ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს დააყენოს პასუხისმგებლობის საკითხი.

დეპუტატმა ზაალ სანაძემ ასევე აღნიშნა ,რომ ა(ა)იპ-ებში არის შემთხვევა ერთი და იგივე პიროვნების დასაქმების.მისი თქმით საკითხის შესახებ ინფორმირებულია მუნიციპალიტეტის მერი.

დეპუტატმა გიორგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ სპორტული ცენტრში არსებული დაძაბული მდგომარეობა საჭიროებს რეაგირებას,საკითხის დამატებითი შესწავლისთვის და გადაწყვეტილების მისაღებად მოწვეულ იქნას შესაბამისი კომისია,სადაც ყველას თანაბრად შეეძლება დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა,რომ ა(ა)იპ სპორტულ ცენტრში დასაქმებულთა უმეტესობა ითხოვს უფროსის გათავისუფლებას.ასევე მან აღნიშნა,რომ ქალაქის ცენტრში არსებული დიდი სატვირთო მანქანების ამკრძალავი ნიშნის არსებობის მიუხედავად,ქალაქში მაინც დგას სატვირთოები და მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას.

ფრაქციის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ა(ა)იპ სპორტულ ცენტრში არსებული საკითხი საჭიროებს დროულ შესწავლას,შესაბამისი წერილის შემოსვლის შემდეგ,საკითხი განიხილოს შესაბამისმა კომისიამ და წარმოადგინოს დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის,ხოლო რაც შეეხება ა(ა)იპ-ებში ერთი და იგივეე პიროვნების დასაქმებას,ფრაქციის სახელით მოთხოვნილ იქნას ყველა ა(ა)იპ-ს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო.

ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ ისაუბრა შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის შენობაში მომხდარი შემთხვევის შესახებ,მან აღნიშნა,რომ მომხდარი ფაქტი არის ძალიან შემაშფოთებელი,რადგან საბავშვო ბაღის თემა არის ძალიან სენსიტიური.მან დეტალური განმარტება სთხოვა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს ლევან ჩხაიძეს და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ხვიჩა ნიკოლაიშვილს,თუ რამდენად აკონტროლებდნენ მშენებლობის პროცესში შ.პ.ს „დაბმას"მიერ წარმოებულ სამუშაოებს.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ განმარტა რომ 2018 წლის 5 სექტემბერს შუხუთის ადმინისტრაცული ერთეულის საბავშვო ბაღის ერთ-ერთ ოთახში ჩამოვარდა თაბაშირის მუყაოს შეკიდული ჭერი.სამსახურმა ადგილზე შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა,ვიზუალურად დათვლიერდა სხვა ოთახები და შედგა სატელეფონო კავშირი შემსრულებელთან შ.პ.ს „დამბა"-ს დირექტორთან გიორგი ჯაბიძესთან.მისი თქმით შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს ხარვეზის აღმოფხვრის ექსპერტიზაზე გავლილი პროექტი,ასევე მის მიერ შესრულებული სხვა ბაღების ჭერის მდგრადობის საპროექტო დასკვნა.

ასევე მან აღნიშნა,რომ მუნიციპალიტეტის სახელით გაიგზავნა ოფიციალური წერილი შემსრულებელთან ,რომლის მიხედვით ვინაიდან ობიექტის საგარანტიო ვადა ჯერ არ არის გასული შემსრულებელმა დაუყოვნებლივ უნდა წარმოადგინოს შესათანხმებლად ხარვეზის ლიკვიდაციის პროექტი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ხარვეზის აღმოსაფხვრელი ღონისძიებები,ხელშეკრულების ფარგლებში ნიგოითისა და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოებზე სპეციალისტების მიერ ჩატარდეს მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნა წარმოადგენილ იქნას მუნიციპალიტეტში.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ხვიჩა ნიკოლაიშვილმა განმარტა,რომ ბაღში მომხდარი შემთხვევის შემდეგ მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა ადგილზე შეადგინეს დათვალიერების აქტი როგორც დაზიანებულ ოთახში,ასევე სხვა ოთახებში,მისი თქმით საქმეში ჩართულია რაიონის პოლიციაც.შემსრულებელის მხრიდან უნდა იქნას წარმოდგენილი ახალი პროექტი,რომელსაც ექნება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება შესაძლებელი დაიწყოს ხელახალი სამუშაოები.

ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ნატა კობალავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ამ ეტაპზე არ არის ხელახალი პროექტი წარმოდგენილი შესაბამისი ექპერტიზის დასკვნით,განახლდა სამუშაოები, თუმცა მათი და მერის უშუალო ჩარევის შემდეგ იქნა შეჩერებული.მისი განმარტებით შემოწმდება შპს „დამბა"ს მიერ შესრულებული სამუშაოები ჩოლობარგის,ლესის და შუხუთის საბავშვო ბაღებში,რადგან არ განმეორდეს მსგავსი შემთხვევა სხვა ბაღებში.რაც შეეხება მიმდინარე წელს გასაკეთებელ და ასაშენებელ ბაღებს, ყველა პროექტზე და სამუშაოზე იქნება გამოყოფილი ტექნიკური ზედამხედველი,რომელიც გააკონტროლებს სამუშაოების მიმდინარეობას და მათ ხარისხს.

შუხუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა,რომ შუხუთის საბავშვო ბაღში მომხდარი შემთხვევა ნამდვილად არის დეტალურად შესასწავლი და აუცილებლად უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი.ასევე მან განმარტა,რომ სასწავლო წლის დაწყებამდე არის ძალიან ცოტა დრო დარჩენილი და დროულად უნდა იქნეს შემოწმებული იქ არსებული სხვა ოთახების მდგომარეობა. მან გამოთქვა ინიციატივა შედგეს აღნიშნულ ობიექტში ალტერნატიული ჭერის კონსტრუქციის პროექტი,რომელიც მისი აზრით ბაღებში უფრო გამართლებული იქნება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 5 სექტემბერს შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის ერთ-ერთ ოთახში ჩამოვარდნილი ჭერის კონსტრუქციის შესახებ პირველივე წუთიდან არის ინფორმირებული და მდგომარეობას ადგილზე გაეცნო.ასევე მისი უშუალო ჩარევით შეჩერდა აღმოსაფხვრელი სამუშაოები,რადგან არ იყო წარმოდგენილი ხარვეზის ლიკვიდაციის პროექტი.მისი თქმით ექსპერტიზის დასკვნის მოსვლის შემდგომ პასუხისმგებლობა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაეკისრება ყველა იმ პირს,რომლის ბრალეულობაც გამოიკვეთება.ასევე მან დაადასტურა,რომ მუნიციპალიტეტის სახელით გაგზავნილია შეტყობინება შემსრულებელთან ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

ფრაქციის წევრებმა აღნიშნეს,რომ შუხუთის საბავშვო ბაღში მომხდარ შემთხვევაზე მოწვეულ უნდა იქნას სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია,რათა დეტალურად შეისწავლოს საკითხი და დადოს შესამაბისი დასკვნა.მათ აღნიშნეს, რომ პასუხი ვერ მიიღეს ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურებისგან, თუ რამდენად აკონტროლებდნენ მშენებლობის პროცესში შ.პ.ს „დაბმას"მიერ წარმოებულ სამუშაოებს.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია
,,ქართული ოცნება-დემოკრატიული
საქართველოს" თავმჯდომარე: ბესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
11.09.2018 წელი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ბესიკ კუპრაძე	14.00	
2. ბესიკ ტაბიძე	14.00	
3. ვლადიმერ ნანაძე	14.00	
4. გოდერძი ქურიძე	არ ესწრება	
5. კახა თედორაძე	14.00	
6. რეზო კვაჭაძე	არ ესწრება	
7. ციცინო ჩხაიძე	არ ესწრება	
8. ზაალ სანაძე	14.00	
9. ცისანა ურუშაძე	13.55	
10.გიორგი ჩახვაძე	14.00	
11.გიორგი გვარჯალაძე	13.58	
12. დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრება	
13.თორნიკე ტიკაძე	არ ესწრება	
14.კახა ბოლქვაძე	13:59	
15.რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრება	